

მანანა ბუკია
ჟორჟ დიუმეზილი
(შტრიხები პორტრეტისთვის)

ცნობილი ფრანგი ფილოლოგი, ფოლკლორისტი, ისტორიკოსი, ევროპული კომპარატივისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი ჟორჟ დიუმეზილი დაიბადა პარიზში 1898 წლის 4 მარტს.

დიუმეზილის მეცნიერული ნააზრევი და პოლიტიკური შეხედულებები დიდხანს იყო თანამედროვეთა მსჯელობისა და აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი. მიუხედავად ამისა, მისმა შრომებმა ინდოევროპელ ხალხთა და რელიგიათა შესახებ საფუძველი ჩაუყარა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა არაერთ მიმართულებას.

დიუმეზილის მამა – გენერალი ჟან ანატოლ დიუმეზილი უცხო ენებითა და ლათინურით იყო დაინტერესებული. მამამ თავისი გატაცება ყრმა ჟორჟსაც გადასდო და 9 წლის ასაკში მომავალი მეცნიერი შესანიშნავად ფლობდა ლათინურს. მან ასევე შეისწავლა გერმანული და ძველი ბერძნული ენები.

ჟან ანატოლ დიუმეზილი ხშირად იცვლიდა სამსახურს, შესაბამისად, იცვლებოდა ჟორჟის სასწავლებლებიც. მან არაერთი ლიცეუმი მოიარა.

ლუი დიდის ლიცეუმის დამამთავრებელ კურსზე სწავლისას დიუმეზილმა გაიცნო მიშელ ბრეალი (გარდ. 1915), – მეცნიერი, შედარებითი ენათმეცნიერების ფუძემდებლის, ფრანც ბოპის მთარგმნელი ფრანგულ ენაზე. ბრეალმა ძველი ენებით დაინტერესებულ სტუდენტს რეკომენდაცია გაუწია ანტუან მეიესთან. ასე დაიწყო ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა ცნობილ კომპარატივისტებს შორის. დიუმეზილზე დიდი გავლენა მოახდინა მეიეს შეხედულებებმა. მან დაინტერესებულ სტუდენტს სანსკრიტ-ფრანგული ლექსიკონი მისცა. დიუმეზილი სანსკრიტსა და არაბულ ენას სწავლობს.

ლიცეუმის დამთავრებისას ჟორჟ დიუმეზილმა უკვე იცოდა 6 უცხო ენა, მათ შორის 4 – აწ უკვე გამქრალი.

1916 წელს ჟორჟ დიუმეზილი ჩაირიცხა პედაგოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ 1917 წელს სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, 1922 წელს ის საფრანგეთში ბრუნდება და ანტუან მეიეს ხელმძღვანელობით იწყებს მუშაობას რელიგიის ისტორიასა და შედარებით მითოლოგიაში.

1924 წლის აპრილში ჟორჟ დიუმევილმა მეცნიერთა სამსჯავროზე საკვალიფიკაციოდ წარადგინა ორი სადისერტაციო ნაშრომი. პირველ მათგანში, ინდოევროპული მითოლოგიის შედარებისას, მან წამოაყენა საინტერესო დებულება უკვდავების მომნიჭებელი საკვების – ბერძნულია მბროსიას და ინდური ამრიტას საერთო წინაინდოევროპული წარმომავლობის შესახებ, მაგრამ მეცნიერი არ შემოიფარგლა ორი რელიგიის შეპირისპირებით, რაკი შედარებისას იგი შეეხო სხვა ინდოევროპულ ხალხთა მითოლოგიასაც. მეორე ნაშრომი ეძღვნებოდა ეგეოსის ზღვის აუზის ხალხთა ტრადიციებსა და ლეგენდებს,

აკადემიური საზოგადოება კრიტიკულად შეხვდა დიუმევილის შეხედულებებს. მას უსაყვედურებდნენ ფაქტების მიმართ თავისუფალი დამოკიდებულებისა და ისტორიის შელამაზების გამო.

პარიზის სამეცნიერო საზოგადოებაზე გულგატეხილი ჟორჟ დიუმევილი 1925 წელს თურქეთში მიემგზავრება და მუშაობას იწყებს სტამბოლის უნივერსიტეტის რელიგიის ისტორიის კათედრაზე.

იწყება ახალი ჟორჟ დიუმევილის სამეცნიერო მოღვაწეობაში. იგი სწავლობს თურქულ ენას, მოგზაურობს კავკასიასა და რუსეთში ადგილობრივი ენებისა და მითოლოგიის შესასწავლად. მოგვიანებით, 1952-72 წლებში, ამავე მიზნით მან არაერთხელ იმოგზაურა კავკასიაში.

კავკასიაში მოგზაურობისას მეცნიერი დაინტერესდა ოსური ენითა და მითოლოგიით, ზედმიწევნით შეისწავლა ოსური ნართები. ნართების კვლევისას დაამატდი მგსგავისებან კელტების გადმოცემებთან. თავისი მოღვაწეობის მანძილზე ჟორჟ დიუმევილი არაერთხელ დაუბრუნდა ამ თემას და დიდი ინტერესი გამოიწვია დასავლურ სამეცნიერო საზოგადოებაში.

სტამბოლის უნივერსიტეტში მუშაობისას ჟორჟ დიუმევილი გაიტაცა კავკასიურა ენებმა. იგი მუშაობდა უბიხური ენის უკანასკნელ მატარებლებთან – ხალხთან, რომელიც არ შეეგუა ცარისტული რუსეთის პოლიტიკას კავკასიაში და 1860-იან წლებში სამშობლოდან გახიზნულმა, დასავლეთ თურქეთს შეაფარა თავი. აქვე გაიცნო მან მუჰაჯირებად წასული ჩერქეზები და აფხაზები.

1931 წესსჟორჟ დიუმევილი გადადის შვეციაში, უფსალას უნივერსიტეტში ფრანგული ენის მასწავლებლად. აქ იგი სწავ-

ლობს შვედურ ენას და ამთავრებს ნაშრომს სკანდინავიურ მი-
თოლოგიაზე.

1933 წელს, ინდოლოგ სილვენ ლევის დახმარებით, დიუ-
მეზილი იღებს რელიგიურ მეცნიერებათა კონფერენციების
ორგანიზატორის პოსტს, შემდეგ კი ინიშნება უმაღლე-
სი სკოლის ინდოევროპელ ხალხთა შედარებითი რელიგიის
შესწავლის ცენტრის დირექტორად.

1938 წელს ჟორჟ დიუმეზილი საზოგადოებას აცნობს თავის
სამფუნქციურ თეორიას. ნაშრომში დიუმეზილმა ერთმანეთს
შეუდარა ინდოევროპელ ხალხთა ენები და მითები და მივიდა
დასკვნამდე, რომლის მიხედვითაც პროტოინდოევროპული სა-
ზოგადოება იყოფა სამ ნაწილად – ქურუმთა, მეომართა და
მიწათმოქმედთა ფენებად, თითოეულ კასტას შეესაბამებოდა
განსაკუთრებული ღვთაება. მაგალითად, ქურუმებთან ეს იყო
მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ღმერთი-მსაჯული (ზევსი-იუ-
პიტერი-ოდინი-პერუნი-პერკუნასი-მითრა-ვარუნა), მეომრებ-
თან – ომის ღმერთი (თორი-მარსი-არესი-იინდრა) მიწათმო-
ქმედებთან – სიუხვის ღმერთი (ფრეირი-კვირინი-ველესი). ეს
თვალსაზრისი სრულიად ახალი ჩტედვა იყო ევროპულ კომპა-
რატივისტიკაში და დიდი ინტერესი და ორია სხვადასხვაობა
გამოიწვია.

თეორიამ უდიდეს ზეგავლენა მოახდინა შემდგომ კვლევებ-
ზე, განსაკუთრებით საფრანგეთში. ასევე დიდი იყო ამ შეხედუ-
ლების გავლენა სტრუქტურალიზმის ჩამოყალიბებაში, თუმცა
დიუმეზილის სქემატურობა არაერთხელ ყოფილა განხილვისა
და კრიტიკის საგანი.

მოგვიანებით ჟორჟ დიუმეზილი უძღვება ინდოევროპულ
ცივილიზაციათა კათედრას (1949-1968) ფრანგულ კოლეჯში
(კოლეჟ დე ფრანს).

პენსიაზე გასელის შემდეგ 3 წლის მანძილზე ჟორჟ დიუ-
მეზილი ლექციებს კათხულობდა აშშ-ში – პრინსტონის, ჩიკა-
გოსა და ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტებში.

1970 წელს დიუმეზილი აირჩიეს წარწერებისა და მწერ-
ლობის აკადემიის წევრად, 1978 წლიდან საფრანგეთის აკა-
დემიის წევრია, იგი გარდაიცვალა პარიზში 1986 წლის 11
ოქტომბერს.

ძველი ბერძნული, ლათინური, სანსკრიტი, ძველი ისლან-
დიური, შვედური, რუსული, პოლონური, სომხური, ოსური,
არაბული, თურქული, უბიხური, ჩერქეზული, აფხაზური, ლა-

ზური... აი, არასრული სია იმ ენებისა, რომლებიც ჟორჟ დიუმეზილმა შეისწავლა და გარკვეული კვლევები ჩაატარა მათი ფონეტიკისა და მორფოლოგიის ცალკეულ საკითხებში.

ქართველი მკითხველისა და სამეცნიერო საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჟორჟ დიუმეზილის კავკასიოლოგიური და ქართველოლოგიური ნაშრომები. სტამბოლში მუშაობის პერიოდში მან შეისწავლა ჩერქეზული, აფხაზური, ლაზური ენები, ჩაიწერა საყურადღებო მასალა და 1960-იან წლებში „კავკასიის ენათა და ტრადიციათა ანატოლიური დოკუმენტების“ სერიით 5 ტომად გამოსცა. მასში შევიდა „უბიხური ტექსტები“ (1960, 1962), „ახალი უბიხური ეტიუდები“ (1965), „ლაზური გადმოცემები“ (1967), „აფხაზური ეტიუდები“ (1967). ჟორჟ დიუმეზილის კვლევები უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია დასავლურ კავკასიოლოგიაში. სხვადასხვა დროს მან გამოსცა რამდენიმე მონოგრაფია კავკასიურ ენებზე: „უბიხთა ენა“ (1931), „შედარებითი ნარკვევები ჩრდილო-დასავლურ კავკასიურ ენათა შესახებ, მორფოლოგია“ (1932), „შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შდარებით გრამატიკაში“ (1933). „დიუმეზილის ფენომენი“ – ასე უწოდა არნოლდ ჩიქობავამ მეცნიერის დაკვირვებას იმის შესახებ, რომ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში ფორმანტებში არ გვხვდება ის შესატყვისობანი, რაც ძირეულ მორფემებში დასტურდება.

ჩვენთვის განსაკუთრებული ღირებულებისაა დიუმეზილის მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილი ლაზური ტექსტები. მან ჩაიწერა, მეცნიერულად გამოიკვლია და გამოსცა არქაბული, ართაშენული, ხოფური მასალა.

1937 წელს პარიზის უნივერსიტეტის ენთოლოგიის ინსტიტუტმა შრომებისა და სამეცნიერო ჩანაწერების 27-ე ტომად გამოსცა ჟორჟ დიუმეზილის ლაზური ზღაპრები“ (Georges Dumézil, Contes Lazes, Pariz, 1937), რომელიც მეცნიერმა 1930-31 წლებში ჩაიწერა არქაბეში მცხოვრები ლაზისაგან, 20 წლის ნიაზ ბანისაგან. ნაშრომის შესავალში ჟორჟ დიუმეზილი სიყვარულით იხსენებს თავის რესპონდენტსა და მეცნიერული სიფრთხილით ეკიდება მოპოვებულ მასალას: „ნიაზ ბანი, მაშინ 20 წლისა, გონიერი, მრავალმხრივ ცნობისმოყვარე, განსაკუთრებით ფოლკლორის მიმართ, ფლობს ზღაპრებისა და სიმღერების შესანიშნავ კოლექციას. ვერ გავბედავ იმის მტკიცებას, რომ ყველა ზღაპარი, რომელიც მან ჩამაწერინა, ლაზურია: კონსტანტინოპოლში სხვადასხვა ცივილიზაციები და

ფოლკლორი ერთმანეთშია არეული“.

წიგნში წარმოდგენილია სხვადასხვა ხასიათის 16 ტექსტი, ახლავს დიუმეზილისეული გამოკვლევა ტექსტების ენობრივ ბუნებაზე, გრამატიკულ მოვლენებზე, თურქულის გავლენის არეალზე.

სამწუხაროდ, „ლაზური ზღაპრები“ მალე ბიბლიოგრაფიულ იმვიათობად იქცა: არასახარბიელო რეალიზაციის გამო მთელი ტირაჟი გაყიდვიდან მოიხსნა თა მხოფოდ მტირი ნაწილი-და გადაურჩა განადგურებას,

1967 წელს „ანატოლიური დოკუმენტების“ სერიით გამოვიდა „ლაზური გადმოცემები (არქაბეს დიალექტი)“ (Georges Dumézil, Documents Anatoliens sur les langues et traditions du Caucase, IV – Régits lazes (Dialecte d'Arhavi), Pariz, 1967). ტექსტები ჩაწერილია 1960-1964 წლებში სტამბოლში არქაბეს ახლოს მდებარე სოფელ შენქოიში მცხოვრები მუჰსინ ეროლისაგან.

„გადმოცემები“ შეიცავს 56 არქაბულ ტექსტს, რომელიც ოთხ ციკლშია გაერთიანებული (ზღაპრები, ანეკდოტები, ორჭული ისტორიები, თავგადასავლები). მასალას უძღვის შესავალი და ვრცელი „გრამატიკული ესკიზი“, რომელიც 45 პარაგრაფისაგან შედგება. „გადმოცემების“ შესავალში დიუმეზილი მისთვის ჩვეული მადლიერებითა და გულითადობით იხსენებს ყველას, ვინც დაეხმარა წიგნის შედგენაში: მუჰსინ ეროლს, ვისაც შემდგომ არაერთხელ გაუწოდა დახმარების ხელი, ნიაზ ბანოღლუს – ჟურნალისტს, ვინც 30-იან წლებში ჩააწერინა „ლაზური ზღაპრები“, პერტევ ნაილი ბორატავს – ანკარის უნივერსიტეტის ფოლკლორის პროფესორს, რომელმაც კომენტარები დაურთო ტექსტებს, სტამბოლის არქეოლოგიის ფრანგული ინსტიტუტის დირექტორს ლუი რობერსა და მის მეუღლეს, რომლებიც გულლიად მასპინძლობდნენ დიუმეზილის რესპონდენტებს, ასევე ლაზურის მკვლევრებს ნიკო მარს, იოსებ ყიფშიძეს, არნოლდ ჩიქობავას, რომელთა ნაშრომებითაც სარგებლობდა წიგნზე მუშაობისას. თანდართულ „გრამატიკულ ესკიზში“, შესაძლოა, ბევრი რამ საკამათო იყოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც უმნიშვნელოვანესი შენამენია ქართველოლოგიური კვლევის საქმეში,

ჟორჟ დიუმეზილმა ლაზურის კვლევა საფრანგეთში დაბრუნების შემდეგაც გააგრძელა. 1972 წელს „ბედი ქართლისას“ 29-30-ე ტომში დაიბეჭდა მისი „არდაშენული ლაზური ტექსტები“ (Georges Dumézil, Textes en Laze d'Ardaşen, Bedi Kartlisa,

Revue de Kartvelologie, vol. XXIX-XXX, Pariz, 1972). პუბლიკაციისათვის შერჩეულია შვიდი ართაშნული ტექსტი და პარალელურად წარმოდგენილია მათი არქაბული და ხოფური შესიტყვისო ბანი. თითოეულ ტექსტს ახლავს კომენტარები – ზმნები სეგმენტირებულია და განხილულია გრამატიკული კატეგორიების მიხედვით.

1987 წელს, ჟორჟ დიუმეზილის გარდაცვალების შემდეგ, „ფერდინანდ დე სოსიურის რვეულების“ 41-ე რომში დაიბეჭდა მეცნიერის ბოლო ქართველოლოგიური ნარკვევი: „ერთი ლაზური (ხოფური) ტექსტის ზმნურ ფორმათა ანალიზი“ (Georges Dumézil, Analyse des forms verbales d'un texte Laze (Hopa) Cahiers Ferdinand de Saussure, 41, 1987). სტატიაში წარმოდგენილია ტექსტი, რომელიც მკვლევარს 1964 წელს ჩაუწერია სინგერელი (ხოფასთან ახლოს მდებარე სოფელი) ტაჰსინ ჩებისაგან. ტექსტის ენობრივი ბუნება განხილულია „ლაზური გდმოცემების“ გრამატიკულ ესკიზში წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებით.

ჟორჟ დიუმეზილის მიერ ჩაწერილ ლაზურ ტექსტებს შემოუნახავს არაერთი სიტყვა, როგორც ქართველური წარმოშობის, ასევე თურქიზმები და ბერძნიზმები, რომლებიც სხვა ლაზურ ლექსიკონებში არ გვხვდება. ტექსტები ამ მხრივაც დიდ ინტერესს იწვევს.

წახნაგი, ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული, თბილისი, 2010, გვ. 341-346